შ.პ.ს. ‘PAEL Georgia˜-ს მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟს

პრეტედენტი	(სახელი, გვარი)
მცხოვრები:	(მიუთითეთ საკონტაქო მისამართი)
რეგისტრაციის ადგილი:	(მიუთითეთ იურიდიული მისამართი)
ტელ.:	(ბინის / მობილ. /ფაქსი)

მოპასუხე:	(სახელი, გვარი)
მცხოვრები:	(მიუთითეთ საკონტაქო მისამართი)
რეგისტრაციის ადგილი:	(მიუთითეთ იურიდიული მისამართი)
ტელ.:	(ბინის / მობილ. /ფაქსი)

ს ა ა რ ბ ი ტ რ ა ჟ ო პ რ ე ტ ე ნ ზ ი ა

(ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე)

2009 წლის 09 სექტემბერს ჩემსა და მოპასუხე (სახელი, გვარი) შორის, გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მე მას ვასესხე ფულადი თანხა (მიუთითეთ სესხის / სადავო თანხის ოდენობა ციფრებით და სიტყვიერად) ლარი - - - - - - - - თვის ვადით. სეხის საპროცენტო სარგებელი განისაზღვრა ძირითადი თანხის (მიუთითეთ თვიური სარგებელის ოდენობა) % ოდენობით. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებული მხარის მიერ, რომლის ოდენობაც შეადგენს გადაუხდელი თანხის 0,2%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე. იპოთეკით დაიტვირთა, მისივე საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე (მიუთითეთ უძრავი ქონების ზუსტი მისამართი). აღნიშნული ხელშეკრულებით, 2009 წლის 10 (ათ) ოქტომბრამდე, მსესხებელს სრულად უნდა დაებრუნებინა სესხის სახით მიღებული თანხა.

მიუხედავად (მიუთითეთ ხელშეკრულების № და თარღი) ნაკისრი ვალდებულებისა, მოპასუხე არ ასრულებს ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოვალეობებს, კერძოდ არ აბრუნებს ძირითად თანხას - - - - - - - ათას ლარს და უარს აცხადებს ასევე მასზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთით დადგენილი თანხის სულ (მიუთითეთ თანხა ციფრებით და სიტყვიერად) ლარის გადახდაზე, გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნე გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლოც რომელიც საარბიტრაჟო პრეტენზიის შემოტანის დროს შეადგენს (მიუთითეთ თანხა ციფრებით და სიტყვიერად) ლარს.

წარმოდგენილი სესხის ხელშეკრულების მე-7 მუხლის 2 პუნქტის შესაბამისად წარმოშობილ დავას მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთ შეთანხმებით,

დავის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს შ.პ.ს. „PAEL Georgia“-ს მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი.

მოგახსენებთ, რომ ჩვენს შორის დავა დაიწყო ა.წ-ს 28 სექტემბერს, როდესაც ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მსესხებელი ვერ აბრუნებდა ვერც ნასესხებ თანხას და ვერც მასზე დარიცხულ სარგებელს, ხოლო მთელი 2 კვირის განმავლობაში, თავს არიდებდა ჩემთან შეხვედრას და საქმიანი მოლაპარაკების წარმოებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ რომ კუთვნილი თანხის ამოღების ერთადერთი გზა არის ის, რომ მოგმართოთ თქვენ და მოვითხოვო დავის გადაწყვეტა შ.პ.ს. „კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“-ს მიერ, მისსივე დებულების შესაბამისად და თქვენს მიერ დანიშნული ერთი არბიტრის შემადგენლობით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ხოლო მე-400 მუხლის შესაბამისად, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდება. ამავე კოდექსის 404-ე მუხლის მიხედვით, კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. გარდა ამისა, როდესაც მოვალე არ დააკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას, სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად იპოთეკარი უფლებამოსილია, მოითხოვოს უძრავი ნივთის რეალიზაცია და მიღებული თანხებიდან დაიკმაყოფილოს მისი როგორც კრედიტორის კანონიერი მოთხოვნა. აგრეთვე, მოგახსენებთ, რომ ჩვენს შორის ხელმოწერილ იპოთეკის ხელშეკრულება პირდაპირ ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-300 მუხლით დარეგულირებულ ურთიერთობებს და აქვე ავღნიშნავ, რომ მოპასუხეს ვალდებულება არცერთ ნაწილში არ შეუსრულებია და მისგან თანხა სრულიად არ მიმიღია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მე უფლებამოსილი ვარ, საკუთრებაში მივიღო იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება.

ვინაიდან, ჩემს საარბიტრაჟო პრეტენზიას, თან ერთვის საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი და ყველა საჭირო მტკიცებულებები, მიმაჩნია, რომ ჩემი საარბიტრაჟო პრეტენზია უნდა მიიღოთ წარმოებაში და განიხილოთ იგი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

<u>ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ:</u>

1.) მოპასუხე <u>(მიუთითეთ მოვალის სახელი და გვარი / ან დასახელება)</u> ჩემს სასარგებლოდ დააკისროთ შეუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულების სახით:

ა.) ძირითადი თანხის ნაწილში – - - - - - - - 00 ლარის გადახდა;

ბ.) გადაუხდელი საპროცენტო სარგებლის ნაწილში – - - - - - - - - 00 ლარის გადახდა;

გ.) ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობით განპირობებული, პირგასამტეხლოს გადახდის ნაწილში – - - - - - - - ლარის გადხდა.

2.) - - - - - - - -

2.) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – 2 ფურცლად;

3.) საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი – 1 ფურცლად;

პატივისცემით,

(მიუთითეთ თქვენი სახელი, გვარი)   (მოაწერეთ ხელი)

პრეტენდენტი

??. ??. 2011 წ.

- -

ყურადღება!

- საარბიტრაჟო პრეტენზიის ნიმუშში წითლად მონიშნული ტექსტი უნდა შეიცვალოს ინდივიდუალური საქმის მიხედვით;
- საარბიტრაჟო პრეტენზიის წინამდებარე ნიმუში არ წარმოადგენს სავალდებულო ფორმას, მაგრამ თქვენს მიერ წარმოდგენილი სხვა ნიმუშის „საარბიტრაჟო პრეტენზია", უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს;
- სასურველია „საარბიტრაჟო პრეტენზია" წარმოდგენილი იყოს ნაბეჭდი სახით, ხოლო ხელნაწერის შემთხვევაში კი – ტექსტი გარკვევით;
- „საარბიტრაჟო პრეტენზია" და მასზე თანდართული მასალები წარმოდგენილი უნდა იყოს იმდენ ეგზემპლარად, რამდენიც არის მოპასუხე, მე-3 პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მას დამატებული 1 პირი არბიტრაჟისათვის;
- წერილობითი შუამდგომლობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არბიტრაჟში სასურველი წარმოდგენილი იყოს იმავე სტანდარტული ფორმით, რა ფორმითაც წარმოდგენილი იქნება ძირითადი „საარბიტრაჟო პრეტენზია". შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული.
- არბიტრაჟს შესაგებელი და / ან შეგებებული სარჩელი (შეგებებული პრეტენზია) წარედგინება „საარბიტრაჟო პრეტენზიის" ანალოგიური ფორმით.
- არასწორი, ან არასრული პაკეტის წარმოდგენის შემთხვევაში არბიტრაჟი ადგენს ხარვეზს, რომელშიც მითითებულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა, იქნება „საარბიტრაჟო პრეტენზიის" მიღებაზე უარის თქმის, ან მისი განუხილველად დატოვების საფუძველი.